1915

ᲙᲚᲓᲔ

№ 3

25 იანვარი 1915 წ.

ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ

5 მან.

ᲣᲪᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝ-ᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 ᲙᲐ�პ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲦᲘᲐᲐ 9—3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: 1. კიდევ გამოქცეულებზედ.—რ. გ-ესი. 2. გამოქცეული სოფლები. 3. მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევა. 4. გლოვის მაა —ინ-ბანისა. 5. სხვა და სხვა ამბები. 6. მიდიუკოვის ბასუხი. 7. ბრესა და მიდიუკოვი. 8. ომი და თვითქოქმედება.—ვინმე სოფლელისა. 9. ბრ. ივ. ჯავახიშვილის ლექციის გამო.—დ. კასრაძისა.



42 სანტიმეტრიან ზარბაზნების ბატარეია ანტვერპენთან ბრძოლის დროს.

კიდევ გამოქცეულებზედ

გამოქცეულების საკითხი თანადათან რთულდება და ათასგვარ სახეს იღებს. თვით სომხებიც გაიყვნენ რამდენიმე ჯგუფად და საინტერესოა შედარება როგორც მათი აზრისა, ისე სხვებისა, რამდენადაც ეს იხატება და შესაძლებლად ხდება დღეანდელ პირობების მიხედვით დახატვა—პრესაში.

აი მაგალითად რასა ვკითხულობთ გაზ. „Кассій"-ში (№ 12): «14 იანვარს დ. ბ. ავან იუზბაშევ სალნალის ხანის თავმჯდომარეობით, შესდგა „დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენი საზოგადოების გამგეობის" კრება, საცა სრულიად რუსეთის საერობო კავშირის წარმომადგენელმა ბ-ნმა ევანგულოვმა, ახლად დაბრუნებულმა იგდირიდან, წაიკითხა მოხსენება. გამგეობამ დაადგინა დაეხმაროს გამოქცეულებს სათესლე მასალით, საქონელით და სამიწადმოქმედო იარაღებით».

„კავკ. სლოვოს" № 15-ში მოყვანილია წერილი აგრონომ ა. ათანასიანცისა, საცა შემუშავებულია მთელი პლანი, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული გამოქცეულთა ძალა ადგილობრივ მეურნეობაში. მთავარი დებულება ამ წერილისა ის არის, რომ 120000 გამოქცეულიდან შეიძლება ამოირჩეს 40-50,000 გამ.ისადეგი მუშა, რომელიც ადგილობრივ მოსახლე სომხობას შეუსრულებს მუშა ხელის დანაკლისს (ომში გაწვეულებისას) და თვითონაც თავს გამოიკვებავს. ამ აზრს ასაბუთებს მრავალი მხრივ და მოიწვევს სომხის საზოგადოებრივ და სამეურნეო-ეკონომიურ დაწესებულებათ ამ გეგმის შესასრულებლად. ა. ათანასიანი „კავკ. სლოვოში" (№ 15) გაკვრით ამბობს მხოლოდ, რომ გამოქცეული სომხები აქ ისწავლიან უფრო უკეთეს მეურნეობას და შემდეგში სამშობლოშიაც გადაიტანენო. იგივე ათანასიანი სწერს გაზეთ „შმაკში". (საიდანაც „კავკ. სლოვოს" გადმობეჭდილი აქვს № 14-ში.) რომ გამოქცეულნი აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, რომ არ შეაწუხონ ისედაც შეკვიწროებული ადგილობრივი სომხობა და თვითონაც არ გაისრისნენ.

«ნუთუ სასურველია, კითხულობს ათანასიანი, რომ მათი სოფლები, მათი ნაამაგდარი ადგილები დარჩნენ უპატრონოდ; ნუთუ მოიპოვება იუნდაც ერთი, რომელიც იცნობს ამიერ-კავკ. სომხეთიამიწის სივიწროვეს, რომ მოინდომოს, ან ფიქრად გაიელოს გამოქცეულ სომხების დარჩენა ჩვენ მხარეში? ეს შეგნებული მკვლელობა იქნებოდა ხალხისათვის მაშასადამე, დღევანდელი დღიდან, დაუყოვნებლივ უნდა ვიხმაროთ ყველა ღონე, გამოვძებნოთ ყველა საშუალება, რომ გამოქცეულნი უკან სამშობლოში დავაბრუნოთ, როგორც კი გარეშეები ნებას დაგვრთავს.

უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგზავნენ კაცები, რომ მოამზადონ ნიადაგი მიწის სამუშაოსათვის, შემდეგი მოსავლისთვის. მაგრამ ამისათვის საჭიროა მათთვის მუშა საქონელით. თესლეულობით და მიწად მოქმედების იარაღებით დახმარება. ამასთანავე ავტორი დიდს თანაგრძნობას უცხადებს სომხურ საზოგადოება „ნპასტამატეიცს", რომელსაც სწორედ ეს მიზანი დაუხატნიაო».

ჩვენ რომ გამოგვეთქვა ეს აზრი, რომ გამოქცეულნი უნდა დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში —ჩვენზედ შოვინისტი, უგული და ულული სხვა ქვეყანაზედ არ მოიძებნებოდა, მაგრამ დღეს ამას თვითონ სომხები ამბობენ... თითქო. ვამბობთ თითქო-მეთქი, რადგან არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ ბ-ნ ათანასიანცის გულწრფელობაში, რომ იგი „შმაკის" ფურცლებზედ თავის ნამდვილი გულის წადილს გამოსთქვამს—მაგრამ ჯერ ერთი უცნაური წინააღმდეგობაა მისი სურვილებისა და ამ სურვილების განსახორციელებელ საშუალებათა შორის და მეორეც იმ წერილებს შორის რომელიც დაბეჭდილა „კავკ. სლოვოში" ერთის მხრით და „შმაკში" მეორის მხრით. მართლაც, ვიფიქროთ ერთ წუთსა, რომ გარეშე პირობები არ არსებობენ და ყველაფერი შესაძლებელია ისე მოხდეს, როგორც ათანასიანცსა სურს: ე. ი. გამოქცეულნი აუცილებლად **უნდა დაბრუნდნენ** ოსმალეთში,—მაშ რა ლად უნდათ იარაღები, გუთნები, თესლეულობა, მუშა-საქონელი და სხვა? ყველა ეს ხომ მეტი ბარგია იმ დროშდის, ვიდრე გამოქცეულნი მართლაც სამშობლოში დაბრუნდებიან, რადგან გუთანი, რომელიც უნდა ამუშავდეს ოსმალეთში და თესლი რომელიც უნდა დათესოს ოსმალეთში და სპარსეთში—რად უნდათ გამოქცეულებს—რუსეთში? განა გუთნის მიცემით გაუმჯობესდება გამოქცეულის ბედი თუ კი ის მიწა არა აქვს ჯერა, რომელიც უნდა შოხნას? ან სათესლე პური განა გაძღობს გამოქცეულს, თუ მართლა იგი სათესლეთ უნდა? ეს ერთი წინააღმდეგობა. მეორე იმაშია, რომ იგივე ათანასიანი „შმაკში" ურჩევს სომხობას —აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ გამოქცეულები სამშობლოშიო და „კავკ. სლოვოში" კი მთელს

გეგმასა ხატავს, თუ როგორ უნდა მოეწყვნენ იგინი აქა.

,,დღეიდანვე, დაუყოვნებლივ უნდა ვიხმაროთ ყველა ღონე, გამოვძებნოთ ყველა საშუალება, რომ გამოქცეულნი უკანვე დაბრუნდნენ სამშობლოში'' —სწერს ათანასიანი ,,მშაკში''. ,,50,000 ამოარჩეული მუშა გამოქცეულებიდან თითონაც თავს გამოიკვებავს და ადგილობრივ სომხობასაც შეეურნეობაში დაეხმარება'', ამბობს ათანასიანი ,,კავკაზსკოე სლოვოში''.

რასაკვირველია გვეტყვიან, რომ აქ წინააღმდეგობა არაფერშია დღეს 50,000 აქ მოვაწყობთ რომ თავი ირჩინონ და შემდეგ, როცა ქვეყანა დაწყნარდება—მთელ 150,000 გამოქცეულს უკან გავგზავნითო. მაგრამ რა საჭიროა მაშინ ლაპარაკი იმაზედ რომ **დღეიდანვე** უნდა გამოვნახოთ უკან დაბრუნების საშუალება, თუ ეს დღე ჯერ არ დამდგარა; ან თუ არ დამდგარა—როგორ უნდა ათანასიანცს გაგზავნოს უკან კაცები მიწის მოსამზადებლად? და თუ უკვე ურიგებს საქონელს, გუთნებს, თესლეულობას—ალბად ეს დღე უკან დაბრუნებისა უკვე დამდგარა?

მაგრამ გარდა აღნუსხულ წინააღმდეგობათა, რომელნიც ხშირია, როდესაც ადამიანი ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს,—ათანასიანცის წერილ ლებში ხალხის მთავარი მამოძრავებელი ძალა სრულიად დავიწყებულია. მართლაც, რამ გამოაქცია სომხობა?—უხეშმა ძალამ, მაშასადამე ჯერ ერთი ამ უხეში ძალის სრული დათრგუნვაა საჭირო, რომ სომხები უკან დაბრუნდნენ—როდის მოხდება ესა, არავინ იცის—და **დღეიდანვე** მეცადინეობა იმისი რომ გამოქცეულნი დაბრუნდნენ, უნაყოფო ფანტაზია არის და მეორეც რითი აიძულებს ბ-ნი ათანასიანი გამოქცეულებს დაბრუნდნენ იქ, საცა ელეტის მეტი არა მოელით რა. სტატიებით ხომ ვერ დაარწმუნებთ აწიოკებულებს—რომ სამშობლო უფრო საყვარელი ადგილიაო? და როდესაც აქ სამუშაოს მისცემთ, გუთნებს, იარაღს, საქონელს, თესლეულობას და... ზოგიერთის პროექტით—**მიწებსაც**,—არ შეიძლება გვიჩვენოთ ის ფსიხოლოგიური, ეკონომიური ან სხვა რამ მოტივი, რომლითაც გამოქცეული იხელმძღვანელებს უკან დასაბრუნებლად? მერე სამოთხისებურ კავკასიიდან—მწარ სომხეთში? ჩვენის ღრმა რწმენით, გამოქცეული სომხები აქ დარჩებიან, თუ მათ სურვილზედ იქნება ეს მინებებული და ვერავითარი ეკონომიულ-პატრიოტული მოსაზრებანი ბ. ათანასიანცებისა მათ ვერ დასძრავთ. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ რომ შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიურმა სივიწროვემ, მიწის სივიწროვემ, რომელზედაც ლაპარაკობს ათანასიანი ,,მშაკში'', და არა ლაპარაკობს ,,კავკ. სლოვოში'' აი ამ სივიწროვემ აიძულოს გამოქცეულები საითკენმე დაიძრნენ.

აი აქ იბადება ის მეორე პოზიცია, რომელზედაც ვდგევართ ჩვენა და თუ ათანასიანცებს შეუძლიანთ თამამად ლაპარაკი სომხების მიწის სივიწროვეზედ ამიერ-კავკასიაში და აქედან, გამოქცეულთა ბედის ასეთი თუ ისეთი ბედის გადაჭრა—მით უფრო შეგვიძლიან ჩვენ გულახდით თქმა, რომ გამოქცეულთა აქ დარჩენა ,,შეგნებული სიკვდილი იქნება'' (ათანასიანცის სიტყვები) არა მარტო სომხობისათვის, არამედ სხვა მკვიდრთათვისაც. ეს ობიექტიური მოსაზრება სრულიად არა სპობს იმას, რომ საერთო კაცობრიული გრძნობათა მიხედვით—გამოქცეულებს შველა სჭირიათ, მაგრამ საშველის შინაარსი თავი და თავი და ამიტომ გამოვდივართ ჩვენ სომხების თვალში—,,შოვინისტები''.

წერილი მეტად გაგვიგრძელდა და დაწვრილებით აღარ შევჩერდებით ჩვენსა და ათანასიანცებს შორის სადაო საკითხზედ, მით უფრო რომ აქვე მოგვყავს აზრი ,,პეტროგრადსკი ვედომოსტისა'' (№ 8). საცა კოტად თუ ბევრად დაახლოვებით იგივ აზრია გატარებული.

რ. ბ.

გამოქცეული სომეხები

„პეტ. ვედ.“ მოთავსებულია ოგიუსტის წერილი ,,გამოქცეულ სომხებზე''. როდესაც კითხვა შეეხება გამოქცეულთ, ბევრნი ჰფიქრობენ, ვითომც ჩვენ მხედველობაში გვქონია თბილისიდან გამოქცეული სომხები. ამიტომ ჩვენ საჭიროდა ვრაცხთ მკითხველს ეხლავე ვაუწყოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ თბილისიდან გამოქცეულ ბედიერ სომხებზე კი არა ვლაპარაკობთ, არამედ სპარსეთიდან გამოქცეულ ბშიერ და შიშველ სომხებზე. ,,პეტ. ვედ.'' სწორედ ამ უკანასკნელებს ჰგულისხმობს. მისი აზრით, კავკასიაში მორბიან სომხები თითქმის იცეთ რაიონებიდანაც კი, სადაც მათ არავითარი შიში არ მოელით. , როდესაც ბელგია დაიპყრეს გერმანელებმა, მისი მცხოვრებნი საფრანგეთში და ინგლისში გაეშურნენ; ჩვენი მოსაზღვრე პოლონელე-

ბი თავიანთ სამშობლოს შუა გულში. სპარსეთის სომხები კი არა თუ თავიანთ სამშობლოში არ ეძებენ მყუდრო თავშესაფარს, არამედ მორბიან იმ მხარეში, რომელსაც სპარსეთთან არავითარი სამტრო დამოკიდებულება არა აქვს". ამ თვალსაზრისით ხსენებული გაზეთი სპარსეთიდან სომეხთა გამოქცევას ფრიად საგულისხმიერო პრეცენდენტადა თვლის გამოქცეულთ შველა ესაჭიროებათ, უწინარეს ყოვლისა, ფულით, მაშინ როდესაც გაზეთის სიტყვით, მეფის მოადგილის მიერ დაარსებულ „სომეხთა ნაციონალურ ბიუროში" საშუალება აღარ მოიპოვება მათ დასახმარებლად. მართალია, სომეხ მდიდრებს სთხოვენ, ყოველ დღე აწუხებენ, მაგრამ ბევრმა მათგანმა სრულიად **არაფერი** მისცა, ან და თუ მისცეს, **ფრიად ცოტა**... ამნაირად, „სომ. ნაც. ბიურო", რომლის მზგავსი არც ერთს **არარუსს** ხალხს არ მოეპოვება მთელს იმპერიაში, სრულებით უძლური გამოდგა, რომ სომეხი მდიდრებისთვის გაჭირვებულ მოძმეთა დასახმარებლად რაიმე გამოელებინათ. მაშასადამე, ეხლა შველას უნდა მოელოდნენ მთავრობისაგან და სომხის საზოგადო მოღვაწენიც ჰფიქრობენ მიმართონ მის უდიდებულესობის დიდი მთავრის ნიკოლოზის ასულის ტატიანას სახელობაზე დაარსებულ დამხმარებელ კავშირს.

თბილისში ეხლა დიდია „გამოქცეულთა" რიცხვი. მათ აქეთ-იქით ათავსებენ და „თუ ეპისკოპოზ ნერსესის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და გამოქცეულთ რუსული პასპორტები დაურიგდათ, მაშინ გამოქცეულთა დასახლება უფრო ფართო სახეს მიიღებს... მათი უმეტესი ნაწილი, როგორც ყოველთვის, ეხლაც ქართველთა საზღვრებში იქნება დასახლებული. საქართველოში ასეთი გადმოსახლება ოგერ ათეული წლები ახდება რაც ისედაც ხდებოდა, თუნდა ოსმალეთში არავითარი დევნა და ექსცესები არ ყოფილიყო. სომეხთა დასახლება ქართველთა ტერიტორ-აზე კი ქართველების უმტკივნეულეს საკითხს შეადგენს. თანამედროვე ქართველის ეროვნულ მსოფლმხედველობად აღიარებულია **აუცილებლად შენახვა და დაცვა საქართველოს ტერიტორიისა.** ქართველის ეროვნული აზრი არავითარ კომპრომისებს არ იცნობს ამ საკითხში და, აი, სწორედ ამიტომ არის, ყოველთვის ქართველ-სომეხთა საურთიერთაშორისო დამბაში უმთავრესად ტერიტორიის საკითხი არის ხოლმე ნიადაგად.

არ შეიძლება ამ წერილის ავტორს არ დავეთანხმოთ, რომ მიწა-წყლის საკითხი, ყველაზედ მტკივნეული სადავიდარაბო ადგილია ჩვენი და სომხების ურთიერთობისა, რომლის გადაუჭრელობის გამო ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მეგობრობა-შეზობლობა და თანხმობითი ცხოვრება ამის სიმწვავეს და ფრიად საფრთხილო შედეგებს უნდა ყველანი ვგრძნობდეთ... „პეტ. ვედ." ... გამოქცეულთა საკითხი სახელმწიფო საკითხს წარმოადგენს და მათი „დროებითი" დასახლება ისეთ პირობებში უნდა მოხდეს, რომ შემდეგში არავის არ მიაყენოს ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა და ტერიტორიალური დაჩაგვრა. („ზაკ რეჩი").

მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევა

საშეუბარო ამბები ხდება. შეუგნებელი ბრბო მშვიდობიან მცხოვრებთა აკლება-აწიოკებას შეუდგა. ამას ყარსის გენერალ გუბერნატორის ბრძანებიდან ვიგებთ. აი რა სწერია ამ საყურადღებო ბრძანებაში: „გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა მოკლულ იქმნენ სრულიად უდანაშაულო მუსულმანები, ჩემდამი მოღწეული ცნობების მიხედვით, ქრისტიანი მცხოვრებნი, ოსმალთა ჯარის შემოსევის შემდეგ ვითომ შურისძიების სახით მუსულმანთა სოფლებში ეწევიან შეიარაღებულ ცარცვა-გლეჯას მარბიელობას და ძალმომრეობას".

ყარსის მუსულმანები მშვიდობიანობას იცავენ და მათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. მართალია, არტაანის მხარეში ოსმალეთის ჯარს ნებით თუ უნებლიედ რამოდენიმე მუსულმანი მიემხრო, მათ მთავრობისაგან სასტიკი სასჯელი მოელის. მაგრამ რა შუაშია აქ ყარსის მუსულმანები? თითო ოროლა ქურდი და მოღალატე ყველგან მოიპოვება. ნუ თუ ამის გამო მთელი ერი უნდა ამოვიჩემოთ? აგრე ვინ მისცა გასამართლების უფლება მშვიდობიან მცხოვრებთ? ამისთვის მხოლოდ სასამართლო არსებობს. მაგრამ ამას ივიწყებს შეუგნებელი ბრბო და მისი მეთაურები

სჩანს, ეს კარგად გაუთვალისწინებია ბ. ყარსის გენ.-გუბერნატორს, რომ ასე გადაჭრით ჰგმობს მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკებას. პრესა და საზოგადოება ვალდებულია ამ საშეუბარო მოვლენას ჯეროვანი ყურადღებით მო-

ებულ ას. მართლაც, დღეს ღალატს არტაანისა და ბათუმის ოლქის მცხოვრებთ სწამებენ. აშკარაა, დამნაშავე მხოლოდ რამოდენიმე პირი ან ჯგუფია; ხვალ შეიძლება მოღალატეებად ნემცები მონათლონ, შემდეგ სომხები, აკი რამოდენიმე თვის წინად დაჟინებით ავრცელებდნენ ხმებს სომეხთა ღალატზე! ომი არევ-დარევისა და უნდობლობის ხანაა. მით მეტი დაკვირვებაა საჭირო, რომ ისეთი სამწუხარო ამბები არ განმეორდეს, როგორც ეს ყარსში მოხდარა. ყველას ახსოვს სომეხ-მუსულმანთა შეტაკება 190 6 წლებში. საკმაოა ერთ ადგილას მუსულმანები აიწიოკონ, რომ მეორე ადგილას საფრთხეში სომხები ჩავარდნენ. ნუ დაივიწყებთ, მრავალი სომეხია სპარსეთსა და ოსმალეთში. ხვალ სადმე ქართველებს გაჭლეტენ, ზეგ ნემცებს დაარბევენ და ასე მთელ კავკასიაში ნაციონალური შუღლი დატრიალდება.

ეს დამლუპველი იქნება კავკასიის ერთათვის.

ვინ არ იცის, რომ შოვინისტები ოფიციალურად საოგებლობენ საერთო უბედურებით, რომ ერთი ერი მეორეს დაუპირდაპირონ და საერთო არევ-დარევა გამოიწვიონ. ეს შოვინიზმის გაღვივებას ხელს უწყობს. მაგრამ ამით ხომ ყველა ერი წაგებს. განა სომხეთის ავტონომიის მოპოებას დემოკრატიის დახმარების გარეშე უნდა ველოდეთ? ასევე ითქმის სხვა ერთა მოთხოვნილებებზედაც.

ამასთან ერთი უნდა გვახსოვდეს, ომის ბედი ცვალებადია. დღეს რუსის ჯარი ოსმალეთში შეიჭრა, ხვალ ოსმალნი უტევენ. ასე ხდება პოლონეთში და საფრანგეთში, ასეთივეა ომის სურათი კავკასიის ასპარეზზედაც. თუ დღეს მშვიდობიანი მუსულმანები ალარ დაინდევს, რა ბოელის ხვალ, ვთქვათ, სომხებს და სხვა ერთ[illegible] ოსმალნი რომელიმე ადგილას კავკასიაში შემოიჭრენ და იქ დროებით გაბატონდნენ?

ომია ჯარებისა და არა ხალხთა შეტაკება. ამიტომაც მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევა სასტიკად უნდა დავგმოთ და ამის წინააღმდეგ შესაფერი ზომები მივიღოთ. („ახ. აზ.“)

გლოვის მთა

(დეგენდა)

I

მზეს ოდნავ ამოეყო თავი და ცის კამარას გავარვარებულ ისრების ესროდა. სხივთა კონები ოქრის სვეტებად აზიდულიყვნენ და ალმოსაკლეთით მდებარე მთების შარავანდედად ევლებოდნენ. სისდი ნელ-ნელა ოხელდებოდა და იდეოდა. ქვეყანას გამოეღვიძა და ამოძრავებულიყო.

დალონებული შესტქეროდა დედა თავის სამს შვილს; მანდილი ჩამოეფარდნოდა და ჭადარა უწესრიგოთ შეშოეფენოდა მხრებზე. საკუთარ სისხლ-ხორცს გულიდან ჭიკჭიკებდნენ და ომში მიეჭეოდათ.

— დედი, გადიყარე სახიდან! ლრუბლები—უთხრა უფროსმა ვაჟმა.—შენს თავს ხომ არ არის მარტო ეს ამბავი. შენს ტაფაში სხვაც ბევრი იწვის. მოგვალთ ცეცხ-



იაპონიის საალყო არტილერია ციანდაოში

ხლები ხომ კარგი, არა და, რა გაგწყობა. ჩვენი წერა ესა ყოფილა.

— ეჰ, შვილო ან სხვა რიდის არის მაჯლიერი? დედის გული წერას არ დაგიდევს, განგების არ ეშინიდება, ძნელად ინელებს ძვილების დაკარგვას. სიდიცხ უცხო მხარეში ძვლები უნდა ჩაგვარეთ... სხვა გაიხარებს... ოქვენ ეკვე-ეორანის კერძი გახდებითა. სანი კარდი გამიზრდია ჩემ ბავდში, ამიუკვეია ლ ენდა უცბად ხელიდან მეცლება... ჩემი ბავი ოხრდება.

— დედილო, აჭა, ია სამაკეერდ, ეს ევილი.— ეთხრა უმცროსმა შვილმა და ახლად გამდილი თეთრი ევილი მიაწოდა;—ეშმრახმა ეზმოზე მოვსწეიტე; არ დაჭენება. ადმასები მიმოაფრქვია კარშემი. რიც თავის მოძმეთ ვაშორებდი. თუ გაწითდეს, სისხლის ეერი მაეცეს, ადარ დაგიბრუნდები!

— დედი, მეც გაძლეგ ეზმოზე მოწეეტილ ეცხო ევილს. თეთრი ემტვერო ქალდდივით —წამოიდაბარაკ შეათასამ.—გაწითდეს, ადარ მოვედ შინა, არა და, ეკან დავბრუნდ.

თეთრი ევილი ეფრთსმაც მიაწოკა.

დედამ ევილები კალთაში ჩაიწეო და ზეედ მდეარება კადაბნია.

შვილები გამოეთხოვნეს დედას და გამორდნენ.

II

ჩაფიქრებული გამოიეურებოდა მადალი მოა. გულს სევდა შეშასწოლოდა. ფრიადო კდენი დაობლებოდა. არწიგთ ბედენი დასტრიელკნოდა. მორს გადაკრგულიეგნენ ფრინველთა მეფენი, მშობლიურ კერას მოშორებოდნენ. მდინარეც ადარ მხიარულობდა: გმირთა ეიკილი ადარ ესმოდა; წენარად მიიკლაკნებოდა მთის ძირს და თავისთვის რადასაც ბუტბუტებდა. მთის წვერზე ტაძარი ამართულიეო და მედიდურად დაჭეურებდა არე-მარეს. ბიამრთულიეო და მედიდურად დაჭეურებდა არე-მარეს. ბიარიხვთისას უწოდებდნენ. ირგვლივ ბატარა მიეები ჩამწკრივებულიეენენ და ჯარისკაცებივით მოწიწებით შესცქეროდნენ თავის უფროსს მაძმეს; თავები მწვანე ხეების გვირგვინებით ჭქონდათ შემკული. მთების ძირას ეე ლარმტაცი ველი ეშლებოდა. ველის მწვანე ხალს მრავალი ეკვილი ჩაჭქსოვებოდა და გარეშოს ასეროვნებდა.

მაგრამ მადალ მთას ეს არ ახარებდა.

უცბად ხეებს რაღაც ჩოჩქოლი შეუდგა:

— მოდის, მოდის!—წასჩურჩულეს ერთმანეთს.

მორს, ხელმარჯვნივ, ძაძამოსილი ადამიანი გამოჩნდა, ხელის ნაბიჯით მოემართებოდა მადალ მთისაკენ. ფერი წასვლოდა, წმინდა სახთელს დამზგავსებოდა, სახე მწუხარებით მოჭნარჭებოდა და თვალებზე ხადვედის ნისლი გადაჭეგროდა. ხელში სამი წითელი ევილი ეჭირა. ევილების სასხლის წვეოები სდიოდა, ძირს ეცემოდა და მოდის ხავერდსა ჭლებოდა.

— მოდის, მოდის!—წასჩურჩულეს კიდევ ხეებმა ერთმანეთს, და ახლა ხელმარცხნივ ეკვეოლ ძაძამოსილი ადამიანი. ხელში ორი წითელი ევილი ეჭირა.

— მოდის, მოდის!—გაისმა ხელახლად ხეების ჩურჩული, და მორს კიდევ ძაძამოსილი ადამიანი გამოჩნდა. ხელში ერთი წითელი ევილი ეჭირა...

გაიარა ხანმა და ყველი ძაძამოსილი მანდილოსნებით გაივსო. ეველს წითელი ევილები ეჭირა; ეველანი სიდ ველს შეეშურო. ანმარის ეერი დასდებოდათ, სახე დაჭლარდათ.

ხეებმა ჩურჩული შესწეიტეს და ყურები ჩამოჭეარეს.

— მიეშართოთ მთა ჭმიდას, მიეშართოთ ბირიხვთისას.—სთქვა ბირველად მოსულმა.—იქნება ჩვენს ველს რამ მადაში დაედგეს... ჭვითა და დაკვეთ კაკვზარდე სამი შვილი და .. დავკარგე... ოქვენც დაგიკარგავთ...

მანდილოსანნი მიღად მთისაკენ გაეშართანენ. ჭინ სიმეეიდიანი მიეძღოდათ. მაეი ძაძ ველს ეერს ეკარგავდა და ეკვილთ მხიარულ გრეკვს აბეუხარებდა.

მაგი ველი მთის ძირს მიეახლოდა და კანერდა.

— მთაო მადალო! შენ ბოდიერ! სამეკვილიანმა ევილები ასწია მადლ.—მთაო ჭმიდაო, სად არიან ბეხი არწიენი? რად დაცარიელებული გმართა სავანე?

ჭისამძღოლს დანარჩენებმაც მიჭბაძეს: ეველამ ევილები ასწია მადლ და ველგასაგმირი საერთო დრტვინვა გაისმა.

მთა ეერო ეარესად მოიდეა, ზარმა შეაძრწეა.

— მთაო მადალო, ვინდა დაიცავს ქვეშრომთაკან შენ ამაეს ქედსა?—ანაგრძო სამეკვილიანმა.—დაობლდი ანა, მთაო? ჩვენი მვილები ველარ დასტკბებიან შენი სიდიადითა! ველარ გაიგონებ გმირულ ძახილსა! გმირთა სიმღერას ბანს ველარ მისცემ! მორს, უცხო მხარეს ჩაეკარეს ყველი.

ველი მთას შეედგა, მაგ ზოლად გაიზარდა: ბირიხვთისაკენ მიიწევდა.

მთას ველი აეხეედა, და აქვითინდა.

— ბირო ღვთისაო!—მიმართა სამეკვილიანმა ახლ ტაძარსა.—ავი სულები დაგვატრიალებიან. ბნელეთა ძალნი სულს გვიხეთავენ. ქვეყანა მწარ ჭეეს. კერა ჩაეიქრეს. ველს ცეცხლი მოგვდებია. ან დაგვიბრუნე ჩვენი სიხარული და ხორცი ან ჩვენც თან მიგვადევნე. ჭეეგიეეანე; ამ ქვეყანად ადარაეერი დაგვრჩენია რა ამ ეთელი ევილებისა კარდ.

ეველამ ევილები გაეშეერა ბირი-ღვთისას. ჭირის ეფლების ველშემზარავი დრტვინვა ისევ გაისმა.

მაგრამ ტ-ძარი სდუმდა. მრავალ საუკუნეების ხვსი სქლად ძასდებოდა.

მთამ კი ველარ გაუძლო ბედრულ დედების გოდებას, ძლიერად დაიგრგვინა, შვერდი კაბისნა და შაგი გუნდი სამუდამოდ გულში ჩაისვენა.

— —

ხალხმა მთას „კლოეის“ მთა უწოდა.

ოვედ წელს მადალი მთა თურქე წოელი ეკიდებით ეთარება და მადამ გმინგეთ ივსება.

ესა, იმეორებს დიდი და მტარა, ომმა დადუბულთა დედები ეგუსიანთ.

ინ-ბანი.

სხვა და სხვა ამბები

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ შესდგა კადეტების კრება მილიუკოვთან ერთად. გამოირკვა რომ კადეტები უარს აცხადებენ „ინოროდცების“ საკითხის წამოყენებაზედ — ომის გამოისობით. ერთ-ერთი სომხის მოლვაწე შეეკითხა მილიუკოვს იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც დაადგენენ ხელმძღვანელი წრეები სომხების მიმართ. მილიუკოვმა მიუთითა განსაკუთრებულ ტაქტიურ მოსაზრებებზედ, რომლებიც ნაკარნახევია აწინდელი განსაკუთრებულის მომენტით. („K. C.“, P. S. ე. ი. არაფერი არ უპასუხა, როგორც არც არავის უპასუხებს ხოლმე ან ისე დახლართავს საკითხს, რომ იმის სიტყვებიდან ჯვარიც გამოიჭრება და ნიჩაბიც, იმისდა მიხედვით თუ რა იქნება ხელსაყრელი მისთვის.

— —

ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘ

ამერიკელ ჟურნალისტების შეკითხვაზე გერმანელმა საჰაერო ფლოტის უფროსმა უპასუხა:

„ჩვენ მოუთმენლად მოველით ბრძანებას, რათა გავიჭრათ ინგლისზე იერიშის მისატანათ.

ჩვენ უკვე გვიფრენია პარიზისაკენ, მაგრამ ეს დიდ რაშეს არ წარმოადგენს. ომის დაწყებიდან ჩვენმა ექვსმა მანქანამ 15.000 ბილი დაჰფარა. მართალია ფრანგის სამხედრო ჰაეროპლანები ჩვენსაზე ოცი მილით უფრო სწრაფად დაფრინავენ, მაგრამ ეს მათ უპირატესობას არ აძლევს, რადგანაც ამ სისწრაფის დროს დაზვერვა ძნელია. 6000 ტერფის (ფუტი) სიმაღლეზე ქვეიდან ნასროლი სახიფათო არაა. ჩვენ შევნიშნეთ რომ ყველაზე უშიშარი ადგილი, ზედ ზარბაზნების ასწვრივ არის, ამ შემთხვევაში ზარბაზნები ვერ აღწევენ მიზანს. ჰაერში შეხლა ამჟამად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. თუმცა ჩვენ მარტო რევოლვერებითა ვართ შეიარაღებული, ხოლო ფრანგები ჯერ ტყვიამფრქვეველებით, ჩვენ ყოველი შემთხვევით ვსარგებლობთ, იერიშის მისატანად, ამისათვის სულ ახლო მიეახლოვდებით ხოლმე. დავიწყებთ იქვე ტრიალს და ხან გეზს ვიცვლით და ხან მიმართულებას, ამის გამო ისინი ჩვენ ნიშანში ვერ გვიღებენ, ხოლო ჩვენ რევოლვერებს კი საშუშაო უჩნდებათ. მოკავშირეთა მანქანები უკეთ არიან შეიარაღებულნი, სამაგიეროთ ჩვენი ზარბაზნები ოთხი მილის სიმაღლეს უწევენ. გაზეთი „Times“ სწერს რომ გერმანელები უფრო „ავიატიკ“-ის სისტემის მონოპლანებს ხმაროობენ, აქ მფრინავი და ბზვერავი ერთი შეორის უკანა ზის. ეს მანქანა უფრო არა სისწრაფისათვის, არამედ უფრო დიდი ტვირთისა და საშინელ აარსენალის სატარებლად არის ხოლმე, ორმოც გირვანქიან ყუმბარებს, რომელთაც იქიდან ისვრიან, ტორპედების მოყვანილობა აქვთ. წინ ფოლადის წვეტი აქვთ და უკან სამ ფრთიანი ბურღი. ამის გარდა აქვთ რგვალი ყუმბარებიც ცეცხლის მოსაკიდებლად. ამასთანავე ფოლადის ისრები, რომელნიც უხმაუროდ სთესავენ სიკვდილს. ყოველ ისარზე წარწერაა: „ფრანგის გამოგონება — გერმანელის შემზადება“.

ᲛᲘᲚᲘᲣᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

(დასასრული)

მეუბნებიან: „ჩვენ არ შეგვიძლიან ამჟამად ახლილად ვილაპარაკოთ ოსმალეთის სუვერენიტეტის მოსპობაზე, თორემ სამხედრო მოქმედება თუ ცუდათ დამთავრდა და მოსალოდნელი გამარჯვება არ გაგვიმართლდა, მაშინ ჩვენ ოვითონვე განსაცდელში ჩავაგდებთ ოსმალეთის სომხობასაო“. ამ შენიშვნის წინაშე მეც მსურს მუხლი მოვიყარო, თუ დამარწმუნებენ, რომ ასეთი მათი განზრახვა ჯერ არ იციან ოსმალებმა. ისიც შეიძლება ამ ფორმულის ორაზროვნება მიმელო მათი შიშის დასაფარავად, თუ რომ... თვით სომეხთა შესვეურებისგან ოსმალთა სუვერენიტეტობის აზრი სულ სხვაგვარად

გრაფი ცეპელინი, ხელმძღვანელი
გერმანიის საჰაერო ფლოტისა.

ოსმალეთის მთავარ-სარდალი
ენერალი სანდერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყოს გაშუქებული და არ მიმტკიცებდნენ არა თუ მარტო „შიშის გამო“, არამედ „სინიდისის მიხედვითაც კი, რომ ოსმალთა დაცვა მათთვის საჭირო და საგულისხმიეროა, როგორც მათ ეროვნულ ინტერესებთან ფრიად სასარგებლო რამ. ამის დასაბუთებლად უკვე მომყავდა მ. ს. აჯემოვისა და ა. ჯიველეგოვის აზრები, თუ სომხეთისთვის რა „სასარგებლო“ იყო ოსმალთა სუვერენიტეტობის დაცვა. შემდეგ პოლემიკაში სომეხთა პრესა შეეცადა ეს „სარგებლობა“ რაოდენადმე მაინც შეემსუბუქებინათ. მაგრამ ამ თეზისის გაშუქება სრულებით ახალის სახით დავინახე სომეხ ლიტერატორ ბ. ლეოს წერილებში „დენის“ ფურცლებზე. აშნაირად, უნდა დავასკვნა, რომ ოსმალთა სუვერენიტეტის იდეის დაცვა შემთხვევითი და დროებითი კი არ არის სომხურს პრესაში, არამედ მუდმივი და შინაგანი სახიერება მათი ეროვნული ფორმულისა.

ეხლა ვიკითხოთ, როგორ მოვიქცე, ავდგე და ეს სახე „ჰორიზონისა“ და „არევის“ რჩევის თანახმად, მივიღო ჩემს მფარველობის ქვეშ? ვიტყვი გულახდილად, დღეს ეს მიმართულება მავნებლად მიმაჩნია როგორც სომხური, ისე რუსების ინტერესებისთვის. ამ ფორმულის ხელახლად განხილვა საჭირო და აუცილებელია. რა თქმა უნდა ამ ფორმულაში სრულებით არ უხსენებიათ ოსმალეთი, მაგრამ ვფიქრობ, თუ მასში აღარ **იგულისხმებენ** ოსმალეთის სუვერენიტეტობის დაცვას, მაშინ უეჭველია, თვით აზრი „ავტონომიაზე“ და „პროტექტორობაზე“ თითქმის სრულებით შეიშლება. აქ „ჰორიზონი“ სცდილობს დამარწმუნოს, რომ ფორმულაში შესაცვლელი არა არის რაო: „ორივე ფორმულა თითქმის ერთი და იმავე სახისაა, როდესაც ოსმალეთის სუვერენიტეტობაზე ვლაპარაკობთ, მაშინ სახეში გვაქვს ბულგარეთისა, სერბიისა და რუმინიის მაგალითები, რომელთა ბედი გადასწყვიტა რუსეთმა. ავტონომიის მეორე ფორმულა (რა თქმა უნდა. აგრედვე „სატერიტორიო“: ამ მხრივ ჩემსა და „ჰორიზონის“ უთანხმოება არ არსებობს) მაგონებს აგრედვე რუსეთის ბივასა და ბუხარაზე.

აქ მოყვანილი მაგალითები სწორედ იმაზე გვითითებენ, რომ ფორმულა სულ ერთიანად უნდა შეიცვალოს, ეს იმისდა მიხედვით, თუ როგორა სურს სომხეთს, სერბიისა, ბულგარეთისა და რუმინიის მაგალითი თუ ხივა ბუქარისა? ცხადია, ტერმინები „ავტონომია“ და „პროტექტორატი“ თავისთავად ჰკარგავენ მნიშვნელობას, თუ რომ შინაარსით ისინი ერთბაშად ერთსა და იმავეს აღნიშნავენ. შინაარსის „იგივეობაზე“, რა თქმა უნდა, მეტია ლაპარაკი, რადგან „ჰორიზონმა“ მშვენივრად უარჰყო იგი თავის მიერ მოყვანილ მაგალითებით.

არ ვიცი, იცნობს თუ არა „ჰორიზონი“ რუსეთის მფარველობის ევოლიუციას ბუხარაზე? თუ რომ ამ საკითხს გაეცნობა იგი, მაშინ, ვფიქრობ, უეჭველია, დააფასებდნენ ჩემს მოსაზრებას იურიდიულ მდგომარეობის იმ გამოურკვეველობის შესახებ, რომელიც თანა სდევს „პროტექტორატი“ შემეცნებას. რაც შეეხება ბულგარიისა, სერბიისა და რუმინიის სახელმწიფოებრივ ევოლიუციას, მაშინ, რა თქმა უნდა ყველა მიხვდება, რომ უპირატესობის ღირსია „ჰორიზონის“ ელასტიური ფორმულა (ოსმალეთის ნომინალური სუვერენიტეტობა). მაგრამ ამ შემთხვევაში „რუსეთის“ პროტექტორობაზე ხომ სულაც მეტია ლაპარაკი. ცხადია, ამ შეხედულობის ქომაგნი გვპირდებიან, რომ ოსმალთა სომხეთიდან შეჰქმნიან „სახელმწიფო ბუფერს“, რომელიც დაგვაშორიშორებდა დიდ სახელმწიფოთა გავლენის სფეროს, და რუსეთსაც ამის შემდეგ აღარ დასჭირდებოდა აღარავინ რი

ხარჯი საზღვრების დასაცველად და ამ მხარის ეკონომიურ განვითარებისათვის, გულით მსურს ვიწამო და მწამს კიდეც, რომ ჩვენი სომეხი თანამოქალაქენი გაფაციცებით ზრუნავენ თავიანთ თანამოძმე ოსმალეთში მყოფ სომხებზე. მაგრამ . ამასთანავე კარგად მესმის ყველა ერების „ბუნებრივი მისწრაფებანი". მაშ მაპ ტიებენ სომეხთა პუბლიცისტები, თუ რომ ამ შემთხვევაში დიდ განსხვავებას ვხედავ იმ საკითხსა, რომელიც წარმომიყენეს ეხლია და იმის შუა, რომელიც გადასწყვიტა რუსეთმა ბულგარეთსა და სერბიაში. რუმინიაზე აქ არას ვიტყვით, თუმცა რუმინია სწორედ ჩემ აზრთა დამამტკიცებელ ილუსტრაციად უფრო გამოდგება, ვიდრე ჩემი ოპონენტების მისწრაფებათა დასამტკიცებლად.

სომხურმა პრესამ შედარებით ნაკლები ყურადღება მიაქცია მეორე სადავო კითხვას: ალექსანდრეტას! უეჭველია, ხმელთა შუა ზღვაში გასვლა მათ მეორე ხარისხოვან საკითხად მოსჩენებიათ. სომხური პრესა ვერც კი ნიშნავს, რომ, კითხვის ამგვარი დაყენებით პრობლემატიური საკითხი რუსეთის ხმელთა შუა ზღვაში გასასვლელად ასე ადვილად არ გადასწყდება. რა თქმა უნდა, აქ სომხები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, თუ რა სასარგებლო იქმნება მათთვის ხმელთა შუა ზღვის დაპყრობა სომხურ



ავსტრიელი ოფიცრები გასცქერიან ბელგრადს.

ვაჭრობის გასაფართოებლად. ისინი თითქმის უარს ამბობენ შავ ზღვაში გასვლაზე მათ ისევ ხმელთა შუა ზღვა ურჩევნიათ. მათი ვაჭრობის მიმდინარეობა მაშინ სულ ამ მხარესკენ მიიმართება. რაღა თქმა უნდა, ინგლისი ადვილად შეეთანხმდება იმ აზრს, რომ სომხებმა ასეთი „სახელმწიფო ბუფერი“ გამართონ და მათ მსოფლიო ვაჭრობას მოუჭრან ბაღდადის გზა. სჩანს, ის რაც შეუძლებელია ჩვენთვის, როგორც „დენში“ გვარწმუნებს ბ ნი ლეო, თურმე შესაძლებელი ყოფილა სომხებისათვის...

ბიუხედავად ჩვენსა და მათს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებისა, იძულებული ვარ ერთი რამე ვიწამო მტკიცედ, რომ მათი ფორმულა, რაც მთელი სომხის ერის სიმბოლო გამხდარა, თავისი უფლრულობით და ბუნდოვანობით მხოლოდ ერთსა და იმავე ადგილას ულონოდ ეწყვეტება და დამერწმუნებიან, რომ მისი გარდაწყვეტა შეუძლებელია და არ შეეგუება სომხურ მასის ეროვნულ მისწრაფებათ. შეიძლება დღეის აბებმა თავისთავად ცხადჰყონ ჩემი მოსაზრებანი დ ადრე და მალე დააყენონ ჩემი ოპონენტები უფრო სიფრთხილისა და ყურადღების გზაზე, ვიდრე ასეთ რომანტიულ ნიადაგზე, რასაც თვით „მშაკი“ არ უარჰყოფდა თავის ფურცლებზე... („რეჩ“).

პრესა და მილიუკოვი

ჩვენი ჟურნალის წარსულსა და ამა ნომერში ჩვენ გადმოვბეჭდეთ „რეჩიდან“ პ. მილიუკოვის წერილი სომხების საკითხის შესახებ. დავბეჭდეთ არა იმიტომ მარტო, რომ იგი მეტად საყურადღებოა თავისთავად, არამედ იმიტომაც, თუ რამდენად იქ გამოთქმული შეხედულებანი ეთანხმებიან იმ აზრებს, რომლებითაც ჩვენ ვაფრთხილებდით სომხურ გაზეთებსა და პუბლიცისტებს გატაცებისაგან, და რისათვისაც შოვინისტების სახელი დავიმსახურეთ.

ჩვენ ვამბობდით, რომ საკმარისი არ არის, სომხის ერმა სურვილი გამოსთქვას ოსმალეთში ავტონომიისა, თუნდაც ამ სურვილს მთელი რუსეთის პრესამაც დაუჭიროს მხარი,—რომ ეს სურვილი ოდნავ მაინც მიუახლოვდეს განხორციელებას. ავტონომიისა-ვის რეალური საფუძველია საჭირო და ეს საფუძველი სრულიად არაფერში სჩანდა მაშინვე, როდესაც ომიც არ დაწყებულიყო და სომხები უკვე ანაწილებდნენ ოსმალეთის იმპერიას და ტრაპიზონსა და ალექსანდრეტას აქცევდნენ თავიანთ ავტონომიის საზღვრებში. მას შემდეგ ხომ ბევრი რამ შეიცვალა და სრულიად მართალია ამ ხხოვ მილიუკოვი, „როგორც რუსეთის ხალხმწიფოს პოლიტიკური მოღვაწე“, როდესაც ამ მდგომარეობის შეცვლის მიხედვითა სცვლის [illegible] საც. როგორც პუბლიცისტმა და [illegible] მილიუკოვმა შეიძლება „ძალიან კარგი“ აზრები გამოსთქვას, როდესაც ეს არ ეხება სახელმწიფოებრივ ინტერესს, „აგრამ როდესაც ფაქტიურად ადამიანი პოლიტიკის წარმოებაში თითქმის მონაწილეობას იღებს--მისთვის „საკაცობრიო აზრები“ მხოლოდ დიპლომატიური ვარჯიშობაა, ანუ უკეთ— ვარჯიშობა დიპლომატიაში.

სომხური პრესა და სომხური მოღვაწენი წაიტყუილა და გაამხნევა იმ გარემოებამ, რომ რუსეთის პრესა თითქო თანაგრძნობით მიეგება სომხეთის საკითხს, მაგრამ ამ აღფრთოვანებაში სომხებს სრულიად გამოეპარათ მხედველობიდან პოლიტიკური მომენტი, სადაც პრესის აზრსა და სიტყვებს მინიმალური მნიშვნელობა აქვს... ნამეტნავად, როცა ამ რუსულ პრესაში აზრებს გამოსთქვამენ იგივე სომხები... ჯივილეგოვი, აჯემოვი, ლეო და სხვანი.

მილიუკოვი სასტიკად, ერთის ყალმის მოსმით ამსხვრევს სომხურ ილუზიებს და ეს სისასტიკე იმაში კი არ გამოიხატება მხოლოდ, რომ აი, ერთი გაზეთი და ერთი მილიუკოვი წინააღმდეგია სომხურ ეროვნული იდეალისა, არამედ იმით, რომ ეს პოლიტიკური აზრია, როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალურიც; რასაც მილიუკოვი ხაზს უსვამს: **„შემცდარიაო ის აზრი, ვითომც მე გამოვთქვამდე ცალმხრივს „დამპყრობელის ნებას“ და არა შეერთებულ ნებას ყველა მოქალაქისას.“**

და რომ მილიუკოვი არა სცდება, როდესაც თავის აზრს აწერს „ყველა მოქალაქეს“, ამის საბუთები უკვე არის და უფრო მრავალი სულ ახლო მომავალში იქნება კიდევ. აი მაგალითად რასა სწერს „უტრო როსიი“ სომხებსა და მილიუკოვის დავაზედ:

„თუ წარმოვიდგენთ კიდეეაც—რასაც ადგილი არა აქვს ეხლანდელ შემთხვევაში—რომ საკითხი არჩევანზეა ორი ერის შორის, ყველაზედ ბუნებრივია უპირატესობა მიეცეს უფრო დიდს, მრავალრიცხოვანს; და მოსთხოვო რუსეთის მოქალაქეს, თუნდა „ინტელიგენტს“, რომ მისთვის უმთავრესი იყოს, არა ის, რაც „სასარგებლოა რუსეთისათვის“, არამედ „რაცა სურთ სომხებს“ (როგორც სწერდა

„არევი“) —ეს ნიშნავს ან გულუბრყვილობას ან შეგნებ-ლ თამაშს იმათ „სინიდისთან“, რომელთაც შერცხვებათ „ნაციონალური“ ინტერესების დაცვა —თუკი ეს „ნაცია“ რუსეთი იქნება“.

„უტრო როსიი“ სრულ სოლიდარობას უცხადებს მილიუკოვს და დასძენს: „იმაზედ ბუნებრივი რა არისო, რომ ადამიანი **ომამდე** გულწრფელად დამცველი სომხეთის ავტონომიისა ოსმალეთში ოსმალეთის სუვერენიტეტით, ასევე გულწრფელად იცავს რუსეთის სუვერენიტეტს **ეხლა**, როდესაც სომხეთი თავისუფლდება ოსმალეთის მონობიდან რუსეთის ხალხის რაინდული მოქმედებით“. (იქნება სომხებმა მოიგონონ აქვე ცინდაოს ამბავი: ცინდაო ჩინეთს უნდა გადაეცეთო, სთქვეს იაპონელებმა ომის დაწყებამდე; ცინდაო ჩვენია, რადგან სისხლი დავღვარეთო,—სთქვეს იმავ იაპონელებმა, როცა ცინდაო აიღეს).

მილიუკოვის აზრს ეთანხმება რუსეთის სახელმწიფოს ის ნაწილიც, რომელსაც ემსახურება... წარმოიდგინეთ მოულოდნელობა... „კავკ. სლოვო“ —ეს გაზეთი, რომელიც, რუსულად რომ ვსთქვათ —держитъ носъ по вѣтру.

ეს გაზეთი, რომელსაც არც მიმართულება და არც რაიმე პროგრამა აქვს, არამედ წარმოადგენს რამდენიმე გასუქებული სოლოლაკელის სულისკვეთებას—დღეს არა მარტო ეთანხმება მილიუკოვს, არამედ უფრო შორსაც მიდის და „ჰორიზონს“ და სხვა სომხურ გაზეთებს უკიჟინებს ნაციონალისტობას და ცილსა სწამებს. ის გაზეთი, რომელიც ომის დასაწყისში სომხეთის ავტონომიას ოსმალეთში დითირამბებს უგალობდა, რომელიც სომხის ერის განთავისუფლებისათვის არა ზოგავდა მელანს დღეს მხარს უჭერს მილიუკოვის სახელმწიფოებრივ მოსაზრებას. ის გაზეთი, რომელიც № 14 ში ჰბეჭდავს ცეცხლმოდებულს გულის ნადულს ჩალხუშიანისას, რომელსაც მთელი შიგნეულობა ეწვის და ედაგვის სომხის ერის უბედურებით ავტონომიისა და თავისუფლების მისწრაფებაში, — № 13-ში თვითონ მასხარად იგდებს ამ „ნაციონალისტურ რომანტიკას.“ რა არის ესა, თუ არ მაჩვენებელი ერთხელ კიდევ, რომ ფულით გაზეთი ვერ შეიქმნება, პრესის დროშა ფულით სათანადო სიმაღლეზე ვერ დაიჭირება.

მაგრამ ვალაპარაკოთ თვით გაზეთი:

„მილიუკოვს ლანძღავენ პურიშკევიჩები, მარკოვები, „რუსკოე ზნამია“, „ნოვოე ვრემია“ და სხ. იმისათვის, რომ იგი ვითომ ესარჩლება და ჰფარველობს „ინოროდცებს“—ეს „ინოროდცები“ კი (პოლონელები, სომხები, ებრაელნი და სხ.) ლანძღავენ მილიუკოვს, როგორც „პატრიოტებს“. „პირველ შეხედვით ეს უცნაურობად ეჩვენება კაცსა, ნაგრამ მარტო პირველ შეხედვით—რადგან საკმარისია გაარჩიოთ ინოროდცებიდან ვინ გამოდის მილიუკოვის წინააღმდეგ, რომ დარწმუნდეთ მათსა და მეშარჯვენე „კრიტიკოსების“ გაბაერთიანებელ გრძნობაში — ეს არის **მეცი ნაციონალიზმისა“**. „კავკ. სლოვოს“, ვინმე „კ. მ.“ პირით მოჰყავს მაგალითები პოლონელებისა და ბაქოელ მუსულმანების განწყობილებიდან მილიუკოვთან და შემდეგ გადადის სომხებზედ: „ამას წინად სომეხი ნაციონალისტები აუმხედრდნენ მილიუკოვს. რათა? იმიტომ რომ, გესმით, მან გაბედა „თავისი აზრი იქონიოს“, ოსმალეთის სასომხეთოზედ... და აი მწერლებმა „ჰორიზონიდან“ მონათლეს იგი „არაკეთილის მსურველად“ და „ქამელეონად“ და პატივცემულმა საზოგადო მოღვაწემ გრ. ჩალხუშიანმა ხელი აიღო მილიუკოვზე, დააბრალა რა „ლიალატი“ და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ რუსტოველი სომხები თეთრ კენჭებს აძლევდნენ მის პარტიას. ო, რა „შავი უმადურობაა“ მილიუკოვის მხრით, დასძენს ირონიულად „კ. მ.“ ჩალხუშიანის სიტყვებს, თითქო მილიუკოვის ქამელეონობა ახალი ხილი იყოს ვისთვისმე.

შემდეგ „კ. მ.“-ს მოჰყავს მაგალითი ებრაული „ნაციონალიზმისა“ და საბოლოო დასკვნას უკეთებს თავის წერილს: „ასე უტიფარია და საშუალებათა განურჩეველი, ასე ცინიკურად უტილიტარული ნაციონალიზმი, სულერთია რომელ ენაზედ გაბოროტქმის იგი და რომელთ გულში დაიბუდებს“.

ესე ამბობს „კავკ. სლოვოს“ უცნობი ავტორი „კ. მ.“ *) „ჰორიზონის“, „არევის“ ნაციონალისტებს და ბ-ნ ჩალხუშიანს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის გაზეთი, რომელიც არ ეროდება ინსინუაციებს და ბევრჯელ „დანოსისებურ“ წერილებსაც—ის მალე ამაზედ უარესებსაც იტყვის თავისიანებზედ, რადგან დრონი იცვლებიან და ფულის სულიანი გაზეთები ყოველთვის დროს მიხედვით ირჯებიან. გულწრფელად შეგვიძლიან ეს-ურვოთ სომხის ერს განთავისუფლება ასეთი მზაკვრული ელემენტებისაგან, რადგან არას დროს არ იცი— ასეთი ხალხი სად გამოგდებს სალმას და სად გაგყიდის.

---

*) სხვათაშორის, ეს „კ. მ.“ რამდენიმე ამაგეარებია ინიციალებს, შეკეთილებს ვინმე „ი“-ს: შენ ინიციალებს მეფარებიო.

ომი და თვითმოქმედება

I

ახლანდელი საერთაშორისო და უმაგალითო და უსაშინელესი ბრძოლა შესანიშნავია არ მარტო თვისის სამხედრო ინტენსივობით, არამედ უფრო მეტად საზოგადოების საოცარის მოქმედებით, საქმიანობითა და დახმარებით დაჭრილ-დაზარალებულთათვის.

ყერძო პირნი თუ დაწესებულებანი, ეროვანი თუ ქალაქები არაფერს ზოგავენ, რათა დაეხმარონ დაჭრილ-დაავადებულ მეომართ თუ ომისაგან დაზარალებულთ, მოვლა-პატრონობით, სამკურნალო დახმარებით, თბილის ჩასაცმელ-დასახურის მიწოდებით და ბოლოს, სადღესასწაულო საჩუქრებითაც კი. ყველა ამისათვის არა ზოგავენ არც პირად შრომასა და თავგანწირვასა და არც უხვს ქონებრივ დახმარებას.

არ მოიპოვება დაწესებულება ყერძო თუ საზოგადო, კომერციული თუ კულტურული რომ თვისის ხარჯით ლაზარეთი და სასანიტაროო რაზმი, თუ დაჭრილთათვის რამოდენიმე საწოლი მაინც არ მოეწყოს, ხოლო ყერძო პირნი, ქალაქნი და ეროვანი ერთმანეთს ეჯიბრებიან დახმარების სიუხვითა და მხნე საქმიანობით.

რა თქმა უნდა, ამ გვარ გაშმაგებულ შრომას ეწევიან ყველგან ეწევიან მას დიდის ენერგიით მთლად რუსეთში, ეწევიან მას რუსეთში მცხოვრები სხვა ერებიც და მეტადრე ებინი, ვინც ამ ბრძოლაში პირდაპირ არიან ჩათრეულნი, და ბრძოლის ასპარეზადაც გაუხდარან, როგორც იქ შეა ევროპაში პოლონეთია და აქ, აზიაში, სომხეთი.

II

ამ მხრივ ჩვენი ბეზობელი სომხები დღევანდელ საბედისწერო მომენტს შემზადებულნი დახვდნენ. კარგად ესმით თუ ოსმალეთის გამარჯვებას მათთის რა მოჰყვება, და მთელის ძალ-ღონით ხელს უწყობენ რუსების გამარჯვებას, რომელსაც უნდა ალბ ყვეს სომხეთის სრული აღორძინება. ხალდათისა და ნახალდათარის გარდა, სომხებმა შეადგინეს რამდენიმე ათასი მოხალისეთაგან შემცგარი რაზმი და გაგზავნეს ბრძოლის ველზე. დიდის მხნეობით მოაწყეს საქმე. ოსმალეთიდან გამოქცეულ მოძმეთათვის დააარსეს რამდენიმე „დახმარების წრე", რომელნიც გულმოდგინეთ შეუდგნენ შემოწირულებათა შეგროვებას. ამ მხრივ სომხის ერმა მთლად, შორეულ კუთხის გლეხიდან მაყოლებელი ამერიკელ მილიონერებამდე, დიდი შეგნება, მხმელის სიყვარული და თავგანწირვა გამოიჩინეს. ფულად თუ ნივთად დღე-მუდამ შემოწირულება ღვარებად მოედინება, ბრავალს მოხალისეს უკან შინვე აბრუნებენ, რადგანაც არა ჰყოფნით საჭირო ამუნიცია. სოფლად გლეხები დიდის ხალისით სწირავენ რაც კი ებადებათ: წინდას, ფქვილს, ფულს და სხვას. დიდი უნარი გამოიჩინეს სომხებმა აგრედვე რუსეთის საზოგადო დაწესებულებაშიაც მაგ, რუსეთის ქალაქების კავშირის, კავკასიის განყოფილების სრული პატრონები გახდნენ. და სამართალიც მოითხოვს აღვნიშნოთ თუ რა დიდის ენერგიით ააამოძრავეს ეს დაწესებულება დაჭრილ მეომართა და ომისაგან დაზარალებულთათვის.

III

ექვსი თვის ბრძოლამ უკვე ერთი რამ ნათელჰყო, სახელდობრ ის რომ იმარჯვებს არა ის, ვისაც კაი საომარი იარაღი აქვს, არა ის ვისაც ჯარი მრავლადა ჰყავს, არამედ ის, ვინც უკედ არის დარაზმულ-დაწყობილი, ვისი ხალხიც შეჩვეულია მუდმივ საქმიანობას სოლიდარულ, დაწყობილ მოქმედებას, ვისაც **ორგანიზაცია** ერის ცხოვრების ყველა სფეროებში უკეთა აქვს განვითარებული.

ამ მხრივ ჩვენი ხალხი და საზოგადოება მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს.

სრული პასივობა, თითქოს ჩვენი ერი გარეშე იდგეს ამ საშინელ გრიგალისაგან, თითქოს მას იქ, ბრძოლის ველზე არ ჰყავდეს უდიდესი და უჯანსაღესი ნაწილი თვის შვილთა, თითქოს აქ ათასობით არ დარჩენილიყოს მებრძოლთა ოჯახები უკიდურეს და უნუგეშო გასაჭირში. მაგრამ, ჩვეულებრივ უმოქმედონი, დღეს, საშინელ განსაცდელის დროს, როცა საჭიროა უაღრესი მოქმედება, საქმიანობა და თავგანწირვა, ჩვენ ვდგევართ სუსტნი, უმოქმედონი, თავზარდაცემულნი ჩვენის ეროვნებით.

IV

ხანამ ოფექტებისამ, გმირობისამ მოჭამა თვისი დრო. ლოდინი დიადის ისტორიული მომენტისა, როცა ჩვენი ინტელიგენცია ეცბად ამობრწყინდება —სასაცილოა და თეატრალური, საჭიროა ახლავე შრომა ყოველდღიური. ამ შრომას ორნაირი ნაყო-

ფი ექნება: ერთი რომ ახლავ გაუწევთ რეალურ დახმარებას ჩვენს ხალხს. მეორე ის რომ ამ გვარმა მოქმედებამ უნდა შექმნას კადრი ნამდვილ მოღვაწეებისა. ამისათვის ჩვენ უნდა ავამოძრავოთ ჩვენი ყველა კულტურული და ეკონომიური დაწესებულებანი, უნდა დავაარსოთ ახალნი, უნდა ჩავეწეროთ კავკასიაში მომქმედ ყველა დაწესებულებაში, როგორიც არიან რუსეთის საეროობო და საქალაქო კავშირების კავკასიის განყოფილებანი. ამაებში ჩაწერვა მარტო ჯამაგირებისათვის კი არა, არამედ გაჭირვებულთა დახმარებისათვის და აგრედვე მისთვის რომ ფართე ნაწილმა ხვენის ახალგაზრდობისამ შეიძინოს საჭირო პრაქტიკა მოღვაწეობისა სასანიტარო, სამკურნალო დახმარებაში, ლაზარეთებისა და საკვებ პუნქტების მოწყობაში და საზოგადოთ ხალხის რეალურად შველაში გაჭირვების დროს, რადგან არავინ იცის რა მოგველის მომავალში. დღე მუდამ უგემურად ვლეჭავთ რომ ორასიათასი ქართველი ბრძოლის ველზე გაგვიგზანვია, ხოლო სრულებით გვავიწყდება რომ ამ ორასიათას მებრძოლს აქ ორასიათასი ოჯახი უმარჩენალოდ დაუტოვებია. რა გვიკეთებია ჩვენ მათთვის?

თითქმის არაფერი, თუ არ ჩავთვლით თავადაზნაურობის იმ განზრახვას, რომლითაც მას სურდა ფული შეეგროვებინა და ჯარში გაწვეულ სოფლელთა ოჯახებისათვის დახმარება გაეწია; მაგრამ საქმით, საქმით რა გაკეთდა? ხოლო ის რომ გადაიდო საერთო სალაროდან 15.000 მ. და როცა საქმე მიდგა პირად მსხვერპლზე და პირად შრომაზე, ჩვენი ბრწყინვალე წოდება ისე მიწყნარდა რომ ახლა ალარც ჩამი-ჩუმი ისმის. სჩანს ამ ვაჟბატონებს სხვისი შრომით მონაგებ ფულის გაღება უფრო ეადვილებათ. შემდეგ, დეპ. და წინამძღოლთა საკრებულოს შეუძლიან დიდი მონაწილეობა რუსეთის საეროობო კავშირის კავკასიის განყოფილებაში. მაგრამ არც აქა სჩანს რამე. ეტყობა მას, ძველი ხელობა, ძლიერთა ფერხთა მტვეროობა უფრო ეხერხება, ვიდრე უნარი ჩვენი ქვეყნის მომქმედ ძალების ამოძრავებისა, რომლისათვისაც მას არ მიუმართავს ჯერა.

მივმართოთ ახლა ხალხს. საჭიროა ყოველ მაზრაში გაიმართოს მაზრის მცხოვრებთა კრებები, სადაც ყოველმხრივ განხილულ უნდა იქმნას თუ როგორ დავეხმაროთ იმ ოჯახებს, რომლის მარჩენალნი ომში დაიხოცნენ. ამისათვის თვითეულ მაზრაში უნდა შესდგეს კომისია, შემდგარი ხუთი-ექვსი კაცისაგან, რომელშიაც უნდა იყოს ერთი ან ორი გლეხების, ერთი ან ორი თავად-აზნაურობის, სამღვდელოებისა, მოქალაქეთა და კოოპერატივების წარმომადგენლები. ამ კომისიამ უნდა ითქოს შესაფერისი ნებართვა ზემოხსენებულ მიზნისთვის; ნებართვის აღებისთანავე საჭიროებაში კომისიამ პუბლიკაციებისა, კერძო წერილებისა და პირადი პროპაგანდის საშუალებით დაინტერესოს რაც შეიძლება მეტი ხალხი მაზრისა, ასე რომ სამაზრო კრებას დაესწროს უსათუოდ მაზრის ყველა შეგნებული პირი. თათბირის შემდეგ სამაზრო კრება დაჰყოფს მაზრას ბუნებრივ რაიონებად და თვითეულ ამ რაიონში გააწესებს რამდენიმე პირს სამოქმედოთ. ეს პირნი მოიკლიან თავის რაიონს სოფლობრივ და კომლობრივ, აუხსნიან თავის მისიას და მოაგროვებენ ვინც რას გაიმეტებს. დარწმუნდით რომ ისეთი ოჯახი არ იქნება რომ ერთი წყვილი წინდა, ან ერთი ჯამი ფქვილი ან ლობიო არ შემოსწიროს. ამ რიგად ყოველ მაზრაში შეგროვდება დიდი ძალი შესაწირი ფულად, ფქვილით და ხვა და სხვა სახით. ჩვენ შეგვეძლება რეალურად დავეხმაროთ მრავალს ოჯახს, დავიმსახურებთ ხალხის ნდობას, გავიცნობთ მას და ზნეობრივ კმაყოფილებასაც ვიგრძნობთ რომ ჩვენც შეგვძლებია ცოტა რამის გაკეთება. მაშ ნუ ვკარგავთ დროს.

ვინმე სოფლელი.

პრ. ივ. ჯავახიშვილის ლექციის გამო

ფრიად საგულისხმიერო ლექცია წაიკითხა ჩვენმა თანამემამულემ პრ. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს უფლების ისტორიიდან მე-VIII და მე-XIV საუკ., ვამბობთ, საგულისხმიერო, არა იმიტომ, რომ პატივცემულს ლექტორს საგსებით გაეშუქებინოს და წერტილი დაესვას თავის საძიებელ საგნის კვლევისთვის, არა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია საოქმელი, თვითონ ლექტორიც შენიშნავდა საქმის სირთულეს, — ჩვენთვის იგი მით უფრო იყო საგულისხმიერო, რომ უფრო ნათელი, უფრო ცხადი შეიქმნა ჩვენი წარსულის სიდიადე. ეხლა დავრწმუნდით, რომ საქართველოს არა მარტო ხმალ-კაბარჭის მომარჯვებაში ჰქონია უნარი, რომ მისი წარსული არა მარტო ხმლის წვერზე იყო დამოკიდებული, არამედ სოციალურიც და პოლიტიკურიც იგი სადიადო წერტილზე მდგარა, რომ საქართველოს წარსული ცხოვრება მრავალ მხრით არის

შესასწავლი იმ პესიმისტთა და გულუბრყვილო პოლიტიკოსთა საყურადღებოდ, რომელთაც საქართველო დაღუპვილად წარმოუდგენიათ, თუ მას მომავლელი ძიძა არ ეყოლება. დღეს უფრო, ვიდრე სხვა დროს ახალგაზრდობას გაგვეღვიძა სურვილი ჩვენი წარსულის შესწავლისა. დღეს უფრო, ვიდრე სხვა დროს ვგრძნობთ საჭიროებას დავუკვირდეთ ჩვენს წარსულის პოლიტიკურს და სოციალურ ცხოვრებას, ვისწავლოთ და აღვადგინოთ ჩვენი უფლებათა და ჩვეულებათა უსაჭიროესი ტერმინოლოგია, შინაურ ცხოვრების მოსაწყობად. მაგრამ სჯობს, შევჩერდეთ და თვით ლექციის შინაარსის გაცნობით თვითონ მკითხველსაც გავუზიაროთ ჩვენი სიხარული. რა მოხდა, რა გავიგონეთ?

უწინარეს ყოვლისა ჩვენ გავიგონეთ, თუ **სახელმწიფო** როგორი სახით გვქონია მოწყობილი. ჩვენი სახელმწიფო, თავის უფლებრივი კონსტრუქციით იყოფებოდა სამს კატეგორიად: ა) დაუმონებელი, ბ) დამონებული და გ) დამოკიდებული, ანუ ვასალური. ამ ფორმებით მიდიოდა ჩვენი სახელმწიფოს მართველობა. მთელს თავის დამოუკიდებელ არსებობის დროს საქართველო თანდათანობით იცვლიდა მმართველობის უმაღლეს ფორმებს და მრავალ „განმაგებელთაგან" ერთ მეფობის ქენ მიისწრაფებოდა. უკვე მე-VIII საუკ. საქართველომ მიაღწია ამ უაღრეს ფორმას და ერთმეფობა დამყარებულ იქმნა: საქართველოს მეფე მეფეთა მეფედ ითვლებოდა. თანახმად ბიზანტიისა, თუ შეზობელ სპარსეთისა და არაბეთის შეხედულობისა, ისიც იღებს მათ სახელმწიფო ელფერს, თუმცა ყოველისფერი თავისებურად ესმის, თავისებურ ელფერს აძლევს. მემკვიდრეობა იმ დროს არ იყო ასე მოდებული, მის ადგილას იჭერდა „თანამესაყდრეობა", ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეფე თავის სიცოცხლეშივე ირჩევდა ერთგვარს თანამშრომელს, რომელიც მის სიკვდილის შემდგომ ტახტს დაიჭერდა. მემკვიდრედ პატარას ირჩევდნენ, 8 – 9 წლისას და მეფურად ზრდიდნენ, ე. ი. ამზადებდნენ სამეფო მმართველობისათვის. მეფის კურთხევა საგანგებო წესით მიდიოდა, რომელიც დასავლეთ საქართველოში შეიმუშავეს. კურთხევის დროს მიჰქონდათ ხმალი, დროშა და შუბი. ხმლის შემოკვრა ეს განსაკუთრებით ქართველობის სამეფო კურთხევაში შედის და არ არის გადმოღებული აღმოსავლეთის სახელმწიფოებიდან — სპარსეთიდან და არაბეთიდანაც. და რომ ეს აუცილებელი წესი იყო, იქიდანაც სჩანს, რომ თვით თამარ-დედოფალსაც მიართვეს ხმალი, თუმცა იგი ქალი იყო და ხმლის ტარებმა არ შეეძლო. სამეფო დროშა წითელი იყო, შუაში წმ. გიორგი ოქროსმკედით ნაქრგი...

მეფე მთელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონი იყო, უმთავრესად უფროსი მმართველი და არა კერძო მესაკუთრე, იგი არ ყოფილა შეუზღუდველი ხელის უფალი: მას ეშველებოდნენ ბჭობაში ვაზირები და დარბაზი... რა იყო დარბაზი? რა როლს ასრულებდა ჩვენს ისტორიაში? აქ ბ-ნი ლექტორი ხანგრძლივად შეჩერდა და აგვიხსნა, რომ დარბაზი ერთგვ რი სამოსამართლო დაწესებულება იყო. იგი შემოღებულია დავით აღმაშენებელის მიერ, როგორც საკანონმდებლო დაწესებულების უმაღლესი ფორმა, თავმჯდომარედ ითვლებოდა მეფე. მასვე ჰქონდა უფლება კანონმდებლობისა, მაგრამ ვერავითარს ახალს კანონს ვერც შემოიღებდა იგი და ვერც ცხოვრებაში გაიყვანდა, თუ მას ნებას არ დართავდა დარბაზის კრებული.

მეფის უმაღლეს მოთათბირეს და დამხმარებლად ვაზირები ითვლებოდნენ. სიტყვა ვაზირი სპარსეთშიაც გვხვდება და არაბეთშიაც. მაგრამ ქართულ ვაზირს მშრალი ტერმინის მზგავსების მეტი სხვა არა აქვსრა არაბულსა და სპარსულ სიტყვასთან. ესენი, როგორც მეფის უმაღლესი მსახურნი, განაგებდნენ ცენტრალურს მმართველობას. თვითეული ვაზირი განაგებდა განსაკუთრებულს საქმეს როგორც დღევანდელი მინისტრები. უმაღლესად ითვლებოდა „მწიგნობართა უხუცესობა", ანუ „ჭყონდიდელობა", შემდეგ „ამირსპასალარი", ანუ სამხედრო უწყების ვაზირი. ეი ამათი შეთანხმებული ბჭობით უნდა გადაწყვეტილიყო ომის საკითხი. მათი ბჭობის შემდგომ მეფის „სწრაფი სბრბოლნი", ანუ შიკრიკები მოედებოდნენ საქართველოს ყოველ მხარეს და აუწყებდნენ ომის გარდაწყვეტილებას. ჯარებს თავს მოუყრიდა ამირ სპასალარი, შემდეგ მეფე ინახულებდა მთელს ლაშქარს, დალოცავდა, დროშას გადასცემდა ამირსპასალარს, თუ თითონ არ გავიდოდა ომში, და თუ ლაშქარს თვითონ დაუდგებოდა სათავეში, მაშინ დროშას ჩაბარებდა მედროშეს.

სხვა თანამდებობათა შორის აღსანიშნავი „მსახურთ უხუცესი" რომელნიც მეფის საწოლსა და მის სახლეულობას თვალყურს ადევნებდნენ. მეფის შეხვედრა ერთგვარის ცერემონიით იწყობოდა, რომელსაც განაგებდა „მანდატორთ უხუცესი". სამეფო სახლის მცველებად იდგნენ „ეჯიბები", ხოლო მათი უფროსი „ამირეჯიბი" იყო. მთელს სამმართ-

ველოში მხოლოდ ამათ ჰქონდათ უფლება დაუკითხავად ყოველგან შესულიყვნენ, შეეხედნათ და საქმის ვითარება განეხილათ. ესენივე იყვნენ მთავარი მომხსენებელნი ნეფისა.

როგორც ვსთქვით, „დარბაზი" ასრულებდა თანამედროვე სასამართლო ტომარეულის ფორმას. დარბაზს შეადგენდნენ ვაზირები; გარდა ამისა ბჭობაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ხალხის წარმომადგენელნი, როგორც „ერისთავები", და „ერისთავთ-ერისთავნი", რომელთაც ემორჩილებოდნენ „სოფლის აზნაურები", სამღვდელოება და მაღალი წოდება, — ქალაქის „ავნი, ანუ „აჩირაანნი" და სოფლის „მამასახლისნი". ყველა ბჭობის თავმჯდომარედ იყო. დარბაზის გახსნა შემუშავებული წესრიგით იყო; ერთი და იმანე სიტყვის შესავალით.

არა ნაკლებ საინტერესო იყო ლექტორის მიერ აღწერილი ფეოდალური დამოკიდებულებანი უფლების მხრით ზატონებსა და ყმებს შუა; განსაკუთრებით საყურადღებო იყო ეკლესიის აღწერილობა და მონასტრულ გამგეობის აღწერილობა, განსაკუთრებით შე XI—XII საუკ., როდესაც მხოლოდ და მხოლოდ მონასტრებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ლიტერატურის გაფურჩვნისთვის, რომლის ყვავილთა სურნელოვნება სამარადისოდ იკმევა საქართველოს დიდების საკურთხეველზე.

ლექციის დასასრულს, რაკილა პატივცემულს ლექტორს დრო ხელს არ უწყობდა, მოკლედ შეეხო სასამართლოს და სასჯელს. სასამართლო ტომეტს შემთხვევაში წოდებრიობის ნიადაგზე იყო დამყარებული. სოფლად გლეხობას მსჯავრსა სდებდა მამასახლასი. ხოლო ვაჭრებს — ვაჭარი დი მებატონეთ — „მწყემსი", ანუ მეფისგან განმწესებული მსჯავრი შემდეგის წესით ხდებოდა: შეჰქონდათ საჩივარი საქმის გამეორება და მსჯავრის დადება. ქურდებისთვის დასახიჩრება იყო წესად, მოსჭრიდნენ ხელს, ფეხს, ან თვალს ამოსთხრიდნენ და სხვა, პოლიტიკურ დანაშაულებისთვის—სდევნიდნენ, ხოლო მოღალატე მემკვიდრეებს თვალებსა სთხრიდნენ. მაგრამ სასტიკი სასჯელი მეფის მიერ ხშირად სუბუქდებოდა. ოღონდ თამარ-დედოფლის დროს და შემდეგჩვენმა სამართალმა ევროპიის იმ წერტილამდე მიაღწია, რომ სიკვდილით დასჯა მოსპობილ იქმნა სამუდამოდ, როგორც [illegible] საჩრების საშუალებანი...

მოკლედ ასეთის შინაარსისა იყო ბ-ნ ი. ჯავახიშვილის ლექცია, რომლისაც სამწუხაროდ, დეტალურად ვერ შევეხეთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ეს ჩვენს მიმდინარე ცხოვრებაში ხაზგასასმელია, როგორც ერთი უშესანიშნავესი გამომაფხიზლებელი საყვირის ძახილი. საქართველოს უცხოვრია, ჰქონია წარსული, ჩვენ მას არ ვიცნობთ და „რა გვეშველების" ვყვირით. დღეს, როდესაც მსოფლიო რუქა ვინ იცის, რა სახით არ უნდა შემუშავდეს, ქართველი ერი თავის თავზე არ ზრუნავს, იგი გასაოცარს იდილიას ეძლევა, რომანტიული უზრუნველყოფილებას და ოდნავი სურვილიც არ ეტყობა, გონება მოიკრიბოს და ჯეროვანად მომზადებული შეხვდეს მსოფლიო ქარიშხალის მიერ მოსალოდნელ ცვალებადობას. მადლობის ღირსია ბ-ნი ი. ჯავახიშვილი ასეთ მნიშვნელოვანი ლექციის წაკითხვისთვის, მაგრამ უფრო მეტი მადლობის ღირსი იქმნება, თუ აიღებს და რაც შეიძლება მოკლე ხანში სახელმძღვანელოდ გამოსცემს იმავე ლექციას თუნდა იმ მინიატურული სახით, როგორც მან წაგვიკითხა 18 იანვარს, მართლაც ამ ღირსშესანიშნავ ჩვენთვის ისტორიულ დღეს.

დ. ქასრაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ეროვნულ-სოციალისტურ-ფედერალისტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტ. ჟურნალ

„ᲐᲚᲓᲐ“-ᲖᲔᲓ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜ., ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ეროვნული სარწმუნოებრივ, საპოლიტიკო,
სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ᲛᲘᲥᲠᲝᲤᲘᲚᲘ“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის. გაზეთი ღირს 1 წლით — 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით — 1 მან. 25 კაპ., ერთი თვით — 25 კაპ. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი. კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ для „**Шадреванн**“. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით. Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ **Александру Г. Мумладзе.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა